სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2026 წლის 26 თებერვალი

ქ. სენაკი

,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.108.016331) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების, განათლების, კულტურის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა, სპორტის, ახალგაზრდობისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე მუნიციპალური წინადადებების შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერ ტყებუჩავა**